ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/2584-22
"19" 05 2022 წ.

20-05-2022წ

დადგენილება №002212
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ

19.05.2022წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ, ზურაბ მამსიკაშვილმა, განვიხილე 2022 წლის 28 აპრილის №002212 მითითება და 2022 წლის 19 მაისის №002212 შემოწმების აქტი, შედგენილი შპს „კომერც გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო №405028205; მის: თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., №33) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 131-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, გამზირი ილია ჭავჭავაძე, №33, №01.14.14.012.048 საკადასტრო კოდზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე, შპს „კომერც გრუპი"-ს მიერ, შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, განხორციელებულია მიშენება, კერძოდ მოწყობილია კაპიტალური კედლები და საძირკველი.

მუნიციპალური ინსპექციის მიერ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარის მიმართ, 2022 წლის 28 აპრილს შედგა №002212 მითითება, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 კალენდარული დღის ვადა და დაევალა განხორციელებული სამუშაოების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ან უსაფრთხოების წესების დაცვით, კაპიტალური მიშენების დემონტაჟი.

2022 წლის 19 მაისს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 124-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექციის მიერ, შედგა №002212 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება, კერძოდ განხორციელდა კაპიტალური მიშენების (კაპიტალური კედლები და საძირკველი) დემონტაჟი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მხარის მიერ შესრულდა მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 28 აპრილის №002212 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები, კერძოდ, ქ. თბილისში, გამზირი ილია

საქართველოს ბანკი

ს/ნ 204378869

№ _____ _____ 20__

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურს


სს „საქართველოს ბანკი“, როგორც იპოთეკარი თანხმაა, უძრავი ნივთზე, მდებარე: ქალაქი თბილისი, გამზირი ილია ჭავჭავაძე, N 33, საკადასტრო კოდი - 01.14.14.012.048, მესაკუთრე - შპს „კომერც გრუპი“ (ს/ნ 405028205) (შემდგომში - **იპოთეკის საგანი**), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარმოდგენილი #AR1893332 განცხადებაში მოთხოვნილი მონაცემების მიხედვით მოხდეს შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია. თანხმობა გაცემულია იმ პირობით, რომ ცვლილების შედეგად წარმოშობილ შენობა-ნაგებობაზე - **იპოთეკის საგანზე** სრულად გავრცელდება სს „საქართველოს ბანკის“ სასარგებლოდ რეგისტრირებული იპოთეკა, და არ შემცირდება **იპოთეკის საგანი**.

სს „საქართველოს ბანკის“

ოპერაციული დირექტორის მოადგილე

დავით დავითაშვილი

თბილისი 0160,
გაგარინის ქუჩა N29ა.
(0 32) 2 444 444
www.bog.ge


duvhexo l#Vhqr ed
6.00
3.40
0.20
vdsu r htw r #Vhqr ed
3/1
2/1
4/1
1/3
0100328